- საკუთრების დამდასტურებელი მოწმობა N2026-ა , დამოწმების თარიღი:13/10/2010 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:04/08/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:09/11/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:04/08/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:04/08/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი ტიპური ფორმა N55 , დამოწმების თარიღი:01/09/2010 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ტერიტორიული ორგანოს), სახელმწიფო ორგანოს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო აუქციონის მომწყობი კომისია

მესაკუთრეები:
მირზა ამბროლაძე ,P/N: 21001004521
შპს "ქუიქ ბილდ" , ID ნომერი:202462548

მესაკუთრე:	აღწერა:
შპს "ქუიქ ბილდ"	მიწის ნაკვეთის საერთო ფართიდან 443 კვ.მ.-დან ამჟამად დანგრეული 408.00 კვ.მ. დან 216.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის პროპორციული წილი მიწის ნაკვეთი.
მირზა ამბროლაძე	მიწის ნაკვეთის საერთო ფართიდან 443 კვ.მ.-დან ამჟამად დანგრეული 408.00 კვ.მ. დან 192.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის პროპორციული წილი მიწის ნაკვეთი და 99 კვ.მ. მიწის ნაკვეთი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფილიალი საჯარო მოხელეთა სამსახურის სანოტარო ბიუროს ასლი 108

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882010730479** თარიღი **04/08/2010 15:35:06**	გამყიდველი: ქეთევან ჩარგეიშვილი P/N: 01013009316; მყიდველი: შპს "ქუიქ ბილდ" 202462548; ვალდებულების შესრულებამდე მყიდველს არა აქვს უფლება წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით მიღებული ქონება დატვირთოს იპოთეკით ან სხვა ვალდებულებით.; **უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი04/08/2010, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **09/08/2010**	
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882010730522** თარიღი **04/08/2010 15:47:04**	გამყიდველი: ავთანდილ ხურციძე P/N: 01033004078; მყიდველი: შპს "ქუიქ ბილდ" 202462548; მხარეები ითვალისწინებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს; **უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი04/08/2010, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **13/08/2010**	

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მისვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

ასლი
108

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.075
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882010880617
მიწის ნაკვეთის ფართობი: 542 კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
მომზადების თარიღი 17.11.10



შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა — ვალდებულება — ხაზობრივი ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი — მშენებარე ნაგებობა — მიწისქვეშა ნაგებობა — UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

ყურადღება!

სამსახურში თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დედ[illegible]
[illegible]
სამსახურის არქივში.

თუ არ გაქვთ სურვილი სამსახურში დარჩეს თქვენს მიერ წარმ[illegible]
დოკუმენტაციის დედნები, განაცხადის მიღებისას [illegible]
ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული.

სამსახურის ადმინისტრაცია!

☑ გავეცანი ....
(განმცხადებლის ხელმოწერა)

ასლი
108

ქ. თბილისის მერია
სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში ჭავჭავაძის გამზირი № 49ბ მდებარე
542 კვ.მ არასაცხოვრებლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის
გ ე გ მ ა
საფუძველი:

სამსახურის უფროსი:
/მ. ავალიანი /.



ქალაქგეგმარების განყოფილება		
განყოფილების უფროსი:		ი. მურღულია
მთავარი სპეციალისტი:		
საინვესტიციო განყოფილება		
		ლ.მელქონიშვილი
მთავარი სპეციალისტი:		ე. კვირკველია
მიწის ნაკვეთის ფუნქცია და ქალაქმშენებლობითი პირობების პარამეტრები		



108

მასშტაბი 1:500 14.06.2010

476.00 1.00 GEL



სასტუმროს და საცხოვრებელი სახლი
ჭავჭავაძის №49ბ

სიტუაციური გეგმა, საკადასტრო რუკა

მ.1:2000

108

STUDIO ARCI

LB

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება # 5016986985

1.03.2011

1	LB-00001836256
	GEL
	475.00
	თანხა სიტყვიერად
	ოთხასსამოცდათხუთმეტი ლარი

მირზა აბშილაძე

გადამხდელის ანგარიში: GE46LB0006000045010303

სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: მირზა აბშილაძე

საიდენტიფიკაციო კოდი: 21001004521

მიმღების დასახელება: მთლიანად შემოსავლების ერთიანი ანგარიში. ქალაქ. თბილისი

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773090

მიმღების ბანკი/ხაზინა: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი: TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: მისაკრძალავი მშენებლობის ნებართვის

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბანკის აღნიშვნები

მიღების თარიღი 1.03.2011

ბანკში შესრულების თარიღი 1.03.2011

ხელმოწერა:

ბეჭდის ადგილი

1.00	... 0	GEL

1.03.2011

108

ხელშეკრულება

ქ.თბილისი 25 თებერვალი 2011 წელი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს "ქუიქ ბილდი", დირექტორი შ.ქუთათელაძე, შემდეგში "დამკვეთად" წოდებული, ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგა ჭოხონელიძე, შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. "დამკვეთი" "შემსრულებელს" გადასცემს კომპიუტერზე აკრეფილ ანგარიშს თემაზე: "ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. № 49ბ-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის პირობები".
2. "შემსრულებელი" აღნიშნულ ანგარიშზე შეადგენს საექსპერტო დასკვნას, სადაც შეფასებული იქნება ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები.
3. "დამკვეთი" "შემსრულებელს " გადაუხდის ჩატარებული საექსპერტო დასკვნისათვის გაწეული შრომის დირებულებას - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარუფლებიან ეგზემპლიარად.

"დამკვეთი"

შპს "ქუიქ ბილდ"

ქ.თბილის, დიღმის მასივი III კვ.

კორპ.31, ბ.38

სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი 220101502

ა/ნ 872414500

დირექტორი შ. ქურთათელაძე

"შემსრულებელი"

პროფ. გუგა ჭოხონელიძე,

სს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრ. ფილიალი,

მიმღები ბანკის კოდი 220101757

მიმღები გუგა ჭოხონელიძე

მიმღ. ანგარიში ლარში 2004506025098

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბჭოს
საქმეთა
ასლი
108

საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირ №49-ბ-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები".

შპს „ქუბქ ბილდი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2011 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირ №49-ბ-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიურმა ჯგუფმა 2010 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათივე ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებათა გამოკვლევა.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ----------8გვ.
2. მიწერილობა ----------2გვ
3. ტექნიკური დავალება ----------1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ----------1გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ----------1ფურც
6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ----------1ფურც
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ----------1 ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, იგი კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასით, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. შენობის ზომებია 14X23 მ. შენობას აქვს მიწისქვეშა სადგომი.

1
ასლი
108

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენდა 28 მ-ს. ჭაბურღილებიდან ნიმუშები არ იქნა აღებული, ვინაიდან მათ წინა წლებში ჩატარებული ჰქონდათ მიმდებარე ტერიტორიაზე იდენტური სამუშაოები და ანგარიშში გამოყენებულია ის მასალები, რომლებიც ინახება განყოფილების არქივში.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა –1 – ნაყარი;
2. ფენა –2 – თიხნარი;
3. ფენა –3 – არგილიტები და ქვიშაქვები.

ანგარიშში მოცემულია მათი დახასიათება (გარდა ნაყარისა), რის საფუძველზედაც ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ შენობა შეიძლება დაფუძნდეს ფილის საშუალებით თიხნარებზე, ხოლო ხიმინჯების გამოყენებით შეიძლება დაფუძნდეს ძირითად ქანებზე არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობაზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყლის დონე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49-ბ-ში, შესრულებულია პროფესიულ დონეზე. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ჩატარებული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

108

შ.პ.ს. „მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა"

380113 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16, ტელ: 337808, 387014, 389640, 371180, ფაქსი 385627, ელ-ფოსტა Info@Expertiza.ge

№ სე-201 „31" - 09 2006წ.

ც ნ ო ბ ა

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუგა ჭოხონელიძე ირიცხება მშენებლობის პროექტების ექსპერტიზის სამმართველოს დამტკიცებულ ექსპერტთა სიაში 1995 წლიდან ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

განვლილი პერიოდის განმავლობაში მან ჩაუტარა ექსპერტიზა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილს.

ცნობა ეძლევა ქ. თბილისის არქიტექტურულ დეპარტამენტში წარსადგენად.

დირექტორის პირველი მოადგილე ლ. მეძმარიაშვილი

О.О.О. "Экспертиза Проектов Строительства"
380113 Тбилиси, пр Важа-Пшавела 16
тел: 337808, 371118, 381180 факс (995 32) 385627
Ел. почта: Info@experiza.ge

LTD "Examination of Construction Designs"
380113 Tbilisi, Vadgha-Pshavela Av 16
Phone: 337808, 371118, 381180 Fax: (995 32) 385627
E-mail: Info@expertiza.ge

108

ბიოგრაფიული ცნობა

ავტორი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გიგა ილიას ძე
მისამართი, ტელეფონის №, ფაქსი	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №40, ბინა №25 ტელ.: 22-00-44
დაბადების თარიღი	ქ. თბილისი, 16.02.1928 წ.
განათლება	1950 წ. დაამთავრე ხაქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელი ინჟინერი (დიპლომი). 1972 წ. დაამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟ. გეოლოგი (დიპლომი)
მიმდინარე ადგილსამყოფელი	1974 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი); 1975 წ. პროფესორი – სათანადო გეოლოგიაში (დიპლომი)
სამეცნიერო საქმიანობა და განთავისუფლება	1958 -1983 წწ. ხაქ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტექნიკურ. და სამეცნიერო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექციის დავალებულ სამეცნიერო ნაწილში; 1983 წ. ოჯახის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძემამარტველების კათედრის გამგე
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნ. შრომა, მათ შორის მონოგრაფია – საქართველოს ლითოსტრატიული არჩანები (1976 წ.). შესწავლილი და აწყობილი ფაქტობრივი მასალის ანალიზის პოლიტიკურ-ეკონომიკური, ქ. თბილისის, რესპუბლიკა და ფილიალ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში გაკეთებული მაქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ინჟინერ-გეოლოგიური მიმართულებით
სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	ოპერატიული მაქვს ასპირანტებს ხაქ. მეც. აკადემიის პალეოგეოგრაფიის და სამეც. გეოლოგიის ინსტიტუტში წარმოებულ რამდენიმე საგრანტო თემაზე. ასევე ვიყავი სამეც. გეოლოგიის სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად ინსტიტუტის არქიეში.
შენიშვნა ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური რუსული – ქარგად ინგლისური – საშუალების დონეზე

ხელმოწერა ჭ. ჭოხონელიძე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი საკანონმდებლო საბჭო
108

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 1951 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от [illegible] (протокол № [illegible])

Чохонелидзе Бук Шалу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

108

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა იღიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შეიცავენინის
სახ. შრომის ნითელი დროშის ორდენიანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ალნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის გადაწყვეტილებით
გ.ჭოხონელიძეს მიენიჭა
ჰიდროგეოლოგის-ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

სარეგისტრაციო № ГЕ-205

ДИПЛОМ

Настоящий диплом выдан Чохонелидзе
Гуго Ильичу
в том, что он в 1961 году поступил
в Груз. ордена Трудового Красного Знамени
политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1972 году окончил полный курс
названного института
по специальности Гидрогеология и
инженерная геология

Решением Государственной экзаменационной
комиссии от 30 Июня 1972 г.
Чохонелидзе Г. И.
присвоена квалификация горного
инженера-гидрогеолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Выдан 16 апреля „2" апреля 1973 г.

Регистрационный № ГЕ-205

Московская типография Госзнака, 1972.



შპს „ახალი საქაქალაქმშენპროექტი"

LTD „AXALI SAKKALAKMSHEMPROEKTI"

ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ბ-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

ასლი
108

თბილისი 2010 TBILISI

''ახალი საქქალაქმშემპროექტი''

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

დაკვეთა №244/2010

ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

დირექტორი — ბ. მირიანაშვილი

საინჟინრო კვლევების განყოფილების უფროსი — ს. სირაძე

თბილისი 2010 წ.

შპს "ახალი საქქალაქმშემპროექტი"
საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი
საქართველო. თბილისი. 0162. ი. ჭავჭავაძის გამზ. №74

LTD "AKHALI SAKKALAKMSHEMPROEKTI"
(The Georgian Institute of Regional & Urban Planning)
74 I. Chavchavadze Ave. 0162, Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 22 69 58; Fax: (995 32) 22 59 58; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

108

სარჩევი

№№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	მიწერილობა	2 – 3
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	4 – 10
	II გრაფიკული მასალა	
4	უბნის ტოპოგეგმა, 1:500 მასშტაბში, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
5	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №2
6	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№3 – 4

108

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

დამკვეთი – შპს „ქუიქ ბილდი".

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაკის საცურაო აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჭავჭავაძის გამზ. №49ბ-ში.

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

ობიექტის ტექნიკური დახასიათება:

გათვალისწინებულია უბანზე არსებული საბოილერო შენობის დანგრევა და მის ნაცვლად, ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

შენობა 12 სართულიანია, მართკუთხა ფორმის, ზომებით 14×23 მ, მიწისქვეშა ავტოსადგომით..

შენობის ქვედა სართულის იატაკი – არსებული რელიეფის დონეზე.

შენობის ტიპი – რკინაბეტონის მონოლითური ჩონჩხედი, ბლოკის შევსებით.

საძირკვლის სავარაუდო ტიპი – ჩვეულებრივი (ფილა), ან ხიმინჯოვანი.

დატვირთვა საძირკვლებზე – ფილის შემთხვევაში – 18 ტ/მ², საყრდენზე – 5000 კნ (500 ტძ).

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დოკუმენტაცია (დასკვნა), წარმოდგენილი იქნეს აკინძული, 4 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსია.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში

დაავალება გასცა ზ. ოქროშიძე

108

მიწერილობა

ქ. თბილისში ჯავჯავაძის გამზ. №49ბ-ში, ვაკის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტისთვის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისათვის) 1.19 პუნქტის მე-2 შენიშვნის და 1.22 პუნქტის სნ და წ ან 02.01–08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) მოთხოვნათა საფუძველზე.

ტექნიკური დავალების თანახმად (ერთეის დასკვნას), მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, გათვალისწინებულია არსებული საბოილერო შენობის დანგრევა და მის ნაცელად ახალი მრავალბინიანი სახლის მშენებლობა, რომლის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

უბანზე ადრე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესახებ ცნობილი არ არის. სამშენებლო უბნის სამხრეთიდან, მომიჯნავედ, სს „საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო კვლევების განყოფილებამ 2005 წელს ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, ვაკის აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე.

ამ კვლევის დროს, ჩატარებულია მოცემულ რაიონში გავრცელებული თიხოვანი და კლდოვანი-ნახევრადკლდოვანი გრუნტების ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდები. ეს მასალა საარქივო ნომრით 32ბ/241 ინახება განყოფილების არქივში და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესადგენად.

ზემოაღნიშნული საარქივო მასალის გაცნობის და უბნის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, გადაწყდა შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

1. უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესასწავლად და დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფუძნების პირობების გასარკვევად, მისი კონტურის ფარგლებში, გაიბურღოს 2 ჭაბურღილი. ჭაბურღილების სიღრმეები განისაზღვროს ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის განლაგების სიღრმით, ძლიერ გამოფიტულ ფენაში გასვლით. არსებული საარქივო მასალების მიხედვით, ძირითადი ქანების

108

ეროზიული ზედაპირის განლაგება, მოსალოდნელია 10–13 მ სიღრმის ფარგლებში.

2. გეოლოგიური ჭრილების აგებისას, გამოყენებული იქნეს 2005 წელს გაყვანილი მახლობელი ჭაბურღილების მონაცემები.
3. თიხოვანი, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი გრუნტებისთვის გამოყენებული იქნეს 2005 წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევის მონაცემები.
4. გრუნტის წყლის გამოვლინების შემთხვევაში, აღებული იქნეს მისი სინჯები და ჩატარდეს ქიმიური ანალიზები. წყლის სინჯების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სნ და წ 1.02.07–87-ის 3.56 პუნქტის მოთხოვნებს.
5. ბურღვა ჩატარდეს თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ–1 ვს", მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ და წ 1.02.07–87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების გათვალისწინებით და აიკინძოს 4 ეგზემპლარად, შესრულდეს აგრეთვე ელექტრონული ვერსია.

საინჟინრო კვლევების განყოფილების
მთავარი გეოლოგი ზ. კვაჭანტირაძე

ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ბ-ში, მრავალბინიანი
საცხოვრებელი სახლის მშენებლობის უბნის საინჟინრო
გეოლოგიური პირობები

შპს „ჭუიქ ბილდი"-ს დაკვეთით (ხელშ. №244/2010), შპს „ახალი საქალაქმშემპროექტის" საინჟინრო კვლევების განყოფილებამ, 2010 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ბ-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი: მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია უბანზე არსებული ძველი ერთ სართულიანი არასაცხოვრებელი დანიშნულების (საბოილერო) ნაგებობის აღება და მის ნაცვლად, ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესახებ ცნობილი არ არის.

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის სამხრეთით, 2005 წელს ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მასალა ინახება განყოფილების არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ტექნიკური დავალების საფუძველზე შედგენილი მიწერილობის თანახმად, ჩატარდა უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ–1 ვს", მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით გაიბურღა 2 ჭაბურღილი, სიღრმით 13–15 მ.

შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა 28,0 გრძივი მეტრია.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ლიკვიდირებულია განაბურღი გრუნტით.

ჭაბურღილების სიღრმეები განპირობებულია ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის განლაგებით.

ჭაბურღილები დატანილია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმაზე, რომლის მიხედვით შესრულდა ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლიანი მიბმა და გეოლოგიური ჭრილების აგება.

საქართველოს პრეზიდენტის სააპარატო ეროვნული სააგენტო
ა ს ო ი
108

საველე სამუშაოები ჩატარდა ინჟინერ გეოლოგ ნ. ცლაშვილის ხელმძღვანელობით, ინჟინერ გეოლოგ კ. სირაძის მონაწილეობით.

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საზღვრებია:

ჩრდილოეთიდან – 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით;

აღმოსავლეთიდან – კორტების ტერიტორია;

დასავლეთიდან – 18 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა (კოშკი);

სამხრეთიდან – მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი (კვლევა ჩატარებულია 2005 წლის ნოემბერში).

ამჟამად უბანი დაკავებულია ძველი საბოილეროს შენობის ნანგრევებით, რომელიც ბურღვითი სამუშაოების პროცესში იწმინდებოდა.

გეომორფოლოგიურად, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში შემაეალ, მამადავითის მთის ჩრდილო ფრთის დაბოლოებას, რომელიც ერწყმის მდ. ვერეს მარჯვენა ნაპირის ძველ ტერასას და ფერდს.

უბნის რელიეფი ტექნოგენურია, სწორია. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომიჯნავე უბნებისკენ გამოყოფილია 3–6 მ სიმაღლის ბეტონის კედლებით. სამხრეთით მდებარე საყრდენი კედლის უკან მდებარეობს მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი.

აღნიშნული შენობა დაფუძნებულია რკინა-ბეტონის ფილაზე, რომლის პარამეტრები, მოცემულია გეოლოგიურ ჭრილებზე (ჭრილი ჭაბ. №1 – II).

უბნის რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები შენობის კონტურის საზღვრებში მერყეობენ 506,00–507,50 მ-ის ფარგლებში.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების და უბნის განივი და გრძივი გეოლოგიური ჭრილები. ჭრილების აგებისას გამოყენებულია წინა წლებში (2005 წ) მომიჯნავე უბნებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევისას გაყვანილი ჭაბურღილების მონაცემები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, აქტიური ზონის ფარგლებში, გავრცელებულია 4 სახესხვაობის გრუნტები.

ტექნოგენური (tQIV) გრუნტი (ფენა 1) – ნაყარი, წარმოდგენილი სამშენებლო ნაგვის და თიხნარის ნარევით, სუსტად შეკავშირებული, სიმძლავრით 0,8–2,40 მ.

თიხოვანი გრუნტი (dQIV, ფენა 2) – თიხნარი ღია ყავისფერი ნახევრადმყარი–ძნელპლასტიკური კონსისტენციის, კენჭების ჩანართებით 10–20%, ქვიშნარის თხელი (10–30 სმ) შუაშრეებით.

ასლი
108

დელუვიურ-პროლუვიური (dpQIV , ფენა 3) მსხვილნატეხოვანი გრუნტი – უხეშად დამუშაებული ნატეხოვანი მასალა (ხვინჭა, ღორღი) თიხნარის შემავსებლით 35–40%.

ძირითადი ქანი – ზედა ეოცენის (P_2^3, ფენა 4) თიხოვანი ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა, გამოფიტული. მათი ეროზიული ზედაპირის გაერცელება დაფიქსირებულია 10,3–12,3 მ-ის სიღრმეზე, ხოლო ხილული სიმძლაერე 2,7 მ-ია.

ძირითად ქანებში ჭარბობენ არგილითები, ქვიშაქვებს დაქვემდებარებული გაერცელება აქვთ. ისინი შეიძლება დახასიათდნენ, როგორც გამოფიტული, თუმცა სიღრმეში უფრო და უფრო საღია. აქვე აღვნიშნავთ, რომ არგილითები უფრო მეტადაა გამოფიტული, ვიდრე ქვიშაქვები.

არგილითები თხელშრეებრივია (1–3 სმ), ზოგჯერ ფურცლოვანიც, ხოლო ქვიშაქვები საშუალო და სქელშრეებრივი (10–30 სმ).

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყლები არ დაფიქსირებულა, თუმცა მომიჯნავე ობიექტზე წყალი გამოვლენილია 13,3 მ-ის სიღრმეზე, მხოლოდ ორ ჭაბურღილში, სხვა ჭაბურღილებში აღინიშნებოდა მცირე სისველე, რაც დამახასიათებელია ანალოგიური გრუნტებისთვის (ძირითადი ქანების ნაპრალოვანი წყლები).

მომიჯნავე უბანზე განისაზღვრა გრუნტების (ფენა 2) ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, რომელთა თანახმად მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

პლასტიკურობის რიცხვი I_P=0,14;

ტენიანობა W=18,8%;

სიმკვრივე ρ=1,85 გ/სმ^3;

ფორიანობის კოეფიციენტი e=0,746;

დენადობის მაჩვენებელი I_L=0,11;

ტენიანობის ხარისხი $\overline{S_r}$ =0,68.

ზემო ჩამოთვლილი მახასიათებლების მიხედვით, გამოკვლეული გრუნტი ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარია, გრუნტის ფორები არასრულადაა გაჯერებული წყლით $\overline{S_r}$ =0,68<0,8.

ძირითადი ქანების (არგილითი, ქვიშაქვა) ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდები მიმდინარე კვლევებისას არ ჩატარებულა. მათი გამოცდების

108

მონაცემები აღებულია მომიჯნავე უბნის საარქივო (32ბ/241) მასალების მიხედვით.

ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდები შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევით ლაბორატორიაში.

ამ გამოცდების მიხედვით შესრულებულია არგილითების და ქვიშაქვების 6–6 გამოცდა, ჰაერმშრალ და წყალნაჯერ მდგომარეობაში.

გამოცდების მიხედვით მიღებულია შემდეგი მონაცემები.

არგილითებისთვის:

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=3,6–4,7 მპა (36–47 კგძ/სმ²), სიმკვრივე $\overline{\rho}$=2,17 გ/სმ³, დარბილებადობის კოეფიციენტი k_{sof}=0,54.

ქვიშაქვებისთვის

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=17,2–22,9 მპა (172–229 კგძ/სმ²), სიმკვრივე $\overline{\rho}$=2,33 გ/სმ³, დარბილებადობის კოეფიციენტი k_{sof}=0,68.

განხილულიდან ჩანს, რომ ძირითადი ქანების მდგენელი ფენების – არგილითების და ქვიშაქვების სიმტკიცის მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ამიტომ სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობა მთლიანი მასივისთვის წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მიღებული იქნეს Rc=6 მპა (60 კგძ/სმ²).

მომიჯნავე უბანზე ჩატარებული გრუნტის წყლის ანალიზის თანახმად, გამოკვლეული წყალი გარემო დასაპროექტებელი კონსტრუქციების მიმართ, ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

ა) საშუალოდ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;

ბ) სუსტად აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;

გ) არააგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.

სულფატმდგრადი ცემენტების გამოყენება მიზანშეწონილი იქნება, ხიმინჯოვანი საძირკვლების მოწყობისას, გრუნტის წყლის გამოჩენის შემთხვევაში.

ა ს ო
108

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დაეასკვნათ შემდეგი:

1. მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ აღინიშნება და არც მშენებლობის შემდგომ პერიოდშია მოსალოდნელი, თუმცა ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირის განლაგების სხვადასხვა სიღრმე, არახელსაყრელი ფაქტორს წარმოადგენს უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეფასებისას.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).
2. უბნის ამგებ გრუნტებში გამოიყოფა 3 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

   I სგე – თიხნარი, კენჭების და ღორღის ჩანართებით (ფენა 2);

   II სგე – უხეშად დამუშავებული ნატეხოვანი მასალა (ხვინჭა, ღორღი), თიხნარის შემავსებლით 35–40% (ფენა 3);

   III სგე – ძირითადი ქანი (ფენა 4).

   ნაყარი (ფენა 1) მოსახსნელია და მხედველობაში არ მიიღება.
3. უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, დაფუძნება შესაძლებელია განხორციელდეს:

   ა) I და II სგე-ს გრუნტებზე (ფენები 2 და 3), რკინაბეტონის ფილის გამოყენებით;

   ბ) III სგე-ს გრუნტზე (ფენა 4) საყრდენი ბურღვით-ნატენი ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებით, გრუნტში არანაკლები 0,5 მ-ის გასვლით.

   შენობის დაფუძნებისათვის I ვარიანტის (ფილა) არჩევისას, მხედველობაში იქნეს მიღებული ჩოგბურთის კორტების და სამხრეთით მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის საძირკვლების (ფილა) ჩაღრმავება და საჭიროებისას მიღებული იქნეს კონსტრუქციული ღონისძიება.
4. ფუძის ანგარიშებისათვის ქვემოთ, ცხრილში მოცემულია სამივე სგე-ის გრუნტის საანგარიშო-ნორმატიული მახასიათებლების მნიშვნელობები,

108

მიღებული მომიჯნავე ობიექტებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, სნ და წ 2ნ 02.01-08 დანართი 2-ის ცხრ. 2, 3, დანართი 3-ის 1 და 3 ცხრილების, საარქივო მონაცემების და საცნობარო ლიტერატურის საფუძველზე (დამპროექტებლის ცნობარი).

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები		
		I სბე (ფენა 2)	II სბე (ფენა 3)	III სბე (ფენა 4)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ³	1,85	1,95	2,2
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ²)	23 (0,23)	2 (0,02)	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	21	35	–
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)	20 (200)	30 (300)	–
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)	250 (2,5)	350 (3,5)	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მგდომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ²)	–	–	6000 (60)
7	საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ³	3,0	5,0	50,0
8	პუასონის კოეფიციენტი μ	0,35	0,27	0,25

შენიშვნა: 1) ცხრილში I სბე-ს გრუნტებისათვის მონაცემები აღებულია ძნელპლასტიკური კონსისტენციის გრუნტებისათვის (შენობის ექსპლოატაციის პერიოდში ფუძე-გრუნტში ტენის ცვლილებების და, აქედან გამომდინარე, კონსისტენციის ერთი საფეხურით გაუარესების პროგნოზით) და მათში სქელტური მასალის დიდი რაოდენობით შემცველობის გათვალისწინებით.

2) ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, ხიმინჯის შემომფენავი გრუნტების საგების კოეფიციენტის (C_z) საანგარიშო მნიშვნელობა აიღება სნ და წ 2.02.03–85 დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით.

5. გრუნტების სულფატური დამარილიანების გამო, მიწისქვეშა კონსტრუქციებისათვის გამოყენებული იქნეს სულფატმედეგი ცემენტის სახეები.

ასდ
108

6. ძირითად ქახებში გრუნტის წყლის (ნაპრალოვანი) გამოელინების შემთხვევაში, ის არ შეუქმნის არავითარ საშიშროებას საცხოვრებელი სახლის მიწისქვეშა სართულის ნორმალურ ფუნქციონირებას.
7. სნ და წ პნ 01.01–09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა") თანახმად, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას.

   ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, სეისმური თვისებების მიხედვით, უბნის ამგები გრუნტები მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) დანარჩენი ფენები (ფენა 2, 3 და 4) – II კატეგორიას.

   უბნის სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი.
8. ქვაბულის და თხრილების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01–87-ის, 3.11 და 3.15 პუნქტების და სნ და წ III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბნის ამგები გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი (ფენა 1) – სამიეე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900 კგ/მ³ (რიგ. №24ა);

   ბ) თიხნარი (ფენა 2) – ბულდოზერით დამუშავებისას – II ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1850 კგ/მ³ (რიგ. №33ბ).
10. ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, გრუნტის კატეგორია ბურღვის მეთოდის და სიძნელიდან გამომდინარე, აიღება იგივე სნ და წ კრებული 4 „ჭაბურღილები" 5 და 6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი

საინჟინრო კვლევების განყოფილების
მთავარი გეოლოგი ზ. კვაჭანტირაძე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოების ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო ფონდი
108

ჭაბ. №1

ფენის №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ქვის ნიშნული 506.00	ჭრილი მ-ბი 1:100	ლიტოლოგიური (ტექნიკური) აღწერა	ბარების წერტილის ნიშნული და გაზომვის თარიღი დან	დან
1	0.00	0.80	0.80	505.20	①			
2	0.80	5.50	4.70	500.50	②	ნაშენარშლილი		
3	5.50	8.00	2.50	498.00	③			
4	8.00	12.30	4.30	493.70	②	ნაშენარშლილი		
5	12.30	15.00	2.70	491.00	④			

ჭაბ. №2

ფენის №№	ფენის სიღრმე დან	ფენის სიღრმე მდე	ფენის სიმძლავრე	მიწის ზედაპირის და ფენის ქვის ნიშნული 506.50	ჭრილი მ-ბი 1:100	ლიტოლოგიური (ტექნიკური) აღწერა	ბარების წერტილის ნიშნული და გაზომვის თარიღი დან	დან
1	0.00	2.40	2.40	504.10	①			
2	2.40	7.80	5.40	498.70	②	ნაშენარშლილი		
3	7.80	10.30	2.50	496.20	③			
4	10.30	13.00	2.70	493.50	④			

ქ ო რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ა წ ე რ ე ბ ი

tQ_{IV} ნაშენარ - ნარჩენსაფარი ნაგავის და მიწაყრის ნაყარი სხვადასხვა შემადგენლობის

dQ_{IV} მიწისძვრის დროს მაღალსართულიანი კონსტრუქციების, ქანების და ხეობის ფიზიკური 10-20%, ძირშიანის მიხერი (10-30 სმ) შეიძლება იყოს

dQ_{IV} უხეშად დაფენილი ნატეხოვანი მასალა (ხეობის, ღორღი), მიხერისი შემადგენლობით 35-40%

ქანების ცალი - ტიხრისებრი ტიპის ნაშენარშლილის და მიწაყრილი ქვიშანარევი მრავალფეროვანი, მაგიერებული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური
108



108







შ.პ.ს. „ქუიქ ბილდ"

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ჭავჭავაძის გამზირზე №49ბ-ში
რავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი
2011

108

შ.პ.ს. „ქუიქ ბილდ''

ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე №49ბ-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი შ.ქუთათელაძე

შეადგინა დ.ბუჩუკური

თბილისი
2011

სარჩევი

1.	მშენებლობის სტრატეგია	4
2	სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება	5
3	მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა	7
4	მშენებლობის ცალკეული ეტაპების გრაფიკი . . .	8
5	მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები	9
6	მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები	10
7	რეკომენდებული სამშენებლო ამწეები, მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები.	14
8	ინსტრუმენტალური კონტროლი	15
9	მითითებები სამუშაოების წარმართვის თაობაზე	15
10	მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა	17
11	ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები.	18
12	მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა.	20
13	სამშენებლო გენგეგმა, ექსპლიკაცია, პირობითი აღნიშვნები .	21

ასდი
108

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ)
ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ჭავჭავაძის გამზირზე №49ბ-ში
რავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

1.მშენებლობის სტრატეგია

1.1. მოპ-ის შედგენის ძირითად ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს სნ და წ 3.01.01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია", რომლის დებულებებიც განსაზღვრავენ მოპ-ის შემადგენლობასა და მოცულობას. ადნიშნული, ცხადია გათვალისწინებულია ჩვენს მიერ შედგენილ პროექტში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ იგი უფრო მეტად რეკომენდაციების მატარებელია და სამუშაოთა განხორციელების პერიოდში დაიხვეწება.

1.2. მშენებლობის ორგანიზაცის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

–დავალება პროექტირებაზე;

–მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;

–გეოდეზური გეგმები და პროფილები;

–საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

–ტერიტორიის ნატურაში დათვალიერება;

–ქ.თბილისის მთავრობის 2006 წლის 16 მაისის დადგენილება №12.18.143 „თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო მოძრაობის, გრუნტის და სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის საფარი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიებების შესახებ".

1.3. სამუშაოთა წარმოების პროცესში განსაკუთრებით შესაწევი და შიდა მოსახვევი სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია შენობას ჩამოეფაროს მტვრის გაბნევისაგან დამცავი ფარდა. კარკასის ამოყვანის პერიოდში მტვრის გაბნევა მოსაგერიებელი არ

108

არის - შემოდის სასაქონლო ბეტონი მიქსერებით, მიმდინარეობს არმატურის ჩასაწყობი და ყალიბების დაყენების სამუშაოები.

2. სამშენებლო მოედნისა და საპროექტო ობიექტის დახასიათება

2.1 აღნიშნული შენობის მშენებლობა ხორციელდება ვაკე-საბურთალოს რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე. მიწის ნაკვეთის ფართობია 542მ². მიწის ნაკვეთის აბსოლუტური ნიშნულები მერყეობს 506-507.5 მეტრს შორის.

2.2. ახალი საპროექტო შენობა შედგება თხუთმეტი სართულისგან, შენობის ორი სართული დათმობილი აქვს ავტოსადგომს, მომდევნო სართული საოფისე ფართს წარმოადგენს, ხოლო შემდეგ დაპროექტებულია ბინები. გეგმაში შენობა მართკუთხედის ფორმისაა, მაქსიმალური ზომებით 34.9X14.8 მეტრზე, სახურავის ნიშნული 48.25 მეტრი.

2.3. შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- მიწის ნაკვეთის ფართი – 542 მ²;
- მოშენების ფართი – 475 მ²;
- საერთო ფართი – 3197 მ²;
- სასარგებლო ფართი – 1956 მ²
- საზაფხულო ფართი – 491 მ²
- დამხმარე ფართი – 750 მ²
- სამშენებლო მოცულობა – 11540 მ³;

108

2.4. კონსტრუქციული სქემით შენობა კარკასული ტიპისაა. მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტები, კოჭები და გადახურვები. ტერიტორიას ორი მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, ხოლო შიდა ეზო რკინაბეტონის კედლებით გამიჯნულია ჩოგბურთის კორტებისგან. ამ მონაკვეთის მოწყობა რეკომენდებულია მოხდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ბოლო

ეტაპზე, შესაძლოა საჭირო გახდეს გაძლიერებითი სამუშაოების განხორციელება.

2.5. სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლებით: თოვლის დატვირთვა 50კგძ/მ², ქარის ჩქაროსნული დაწნევა – 85კგძ/მ², სეისმურობა – 8 ბალი.

2.6. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით სამშენებლო მოედანზე გამოყოფილ იქნა სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი: 1. თიხნარი კენჭების და ღორღის ჩანართებით. 2.უხეშად დამუშავებული ნატეხოვანი მასალა (ხვინჭა, ღორღი), თიხნარის შემავსებლით 35-40%, 3. ძირითადი ქანი. გრუნტის წყლების გამოკვლეულ სიღრმეებზე არ გამოვლენილა. საძირკველი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ფილას.

2.7. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე.

2.8. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების ოვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

2.9. მშენებლობის წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ თავებში.

ასო
108

3. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

3.1. მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად ვხელმძღვანელობთ სნ და წ 1.04.03-85-ით, „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მარაგნაკეთი". შენობა 15 სართულიანია. მისი საერთო ფართობი 3197 კვადრატული მეტრია. შენობა კარკასულია და მისი მშენებლობა გათვალისწინებულია მონოლითურ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში. აღნიშნული ნორმები არ ითვალისწინებს მოცემული ფუნქციური დანიშნულების და გაბარიტების შენობის მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებში მშენებლობას.

3.2. მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გათვალისწინებით დამკვეთი და მშენებელი ფირმა შეთანხმდა მშენებლობის გეგმიურ ხანგრძლივობაზე 24 თვის პერიოდში. აღნიშნულის მიხედვით შედგა მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა.

ასლი
108

3. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

3.1. მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად ვხელმძღვანელობთ სნ და წ 1.04.03-85-ით, „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და პარაგრაფები". შენობა 15 სართულიანია. მისი საერთო ფართობი 3197 კვადრატული მეტრია. შენობა კარკასულია და მისი მშენებლობა გათვალისწინებულია მონოლითურ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში. აღნიშნული ნორმები არ ითვალისწინებს მოცემული ფუნქციური დანიშნულების და გაბარიტების შენობის მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებში მშენებლობას.

3.2. მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის გათვალისწინებით დამკვეთი და მშენებელი ფირმა შეთანხმდა მშენებლობის გეგმიურ ხანგრძლივობაზე 24 თვის პერიოდში. აღნიშნულის მიხედვით შედგა მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა.

108

4. სამუშაოთა შესრულების ცალკეული ეტაპები

№№	მშენებლობის ეტაპები	ხანგძლივობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
1	არსებული შენობის დაშლა	2 თვე	2 თვე 60 დღე																							
2	დაკვალვა	10 დღე			10 დღე																					
3	ფუძის მოწყობა	80 დღე			80 დღე																					
4	ნულოვანი ციკლის დასრულება	3 თვე						3 თვე 90 დღე																		
5	I-V სართულების კარკასის ამოყვანა	6 თვე										4 თვე 180 დღე														
6	VI-X სართულების კარკასის ამოყვანა	2 თვე														4 თვე 180 დღე										
7	XI-XIV სართულების კარკასის ამოყვანა	3 თვე																	3 თვე 90 დღე							
8	სამშენებლო სამუშაოთა დასრულება	14 თვე																	4 თვე 420 დღე							

ასლი 108

6. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

6.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

6.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

6.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

6.5.სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცებისა და მის საფუძველზე ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. აუცილებელია სამშენებლო მოედნის შემოკავება დროებითი ხის ღობით.

6.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭიხნი დანადგარები ბეტონის აწოდებით სართულებზე მილსადენებში. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

6.7. გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები სრულდება სნ და წ 3.01-01-85 „გეოდეზური სამუშაოები მშენებლობაში" მოთხოვნათა გათვალისწინებით. წითელ ხაზებში მოქცეული ტერიტორია უნდა

ასტი
108

დადასტურდეს ქალაქის მთავარი არქიტექტორის სამსახურის მიერ შენობების დაკვალვასთან ერთად.

6.8. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე. ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო კომპლექტაციის ბაზა.

6.9. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

6.10. მშენებლობის გამხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია და განმარტებულია მოპ-ის შესაბამის თავებში.

6.11. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების მიერ დადგენილი წესით აუცილებელია.

7. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

7.1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სახელმწიფომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან.

ასლი
108

7.2. მოედნის მოშანდაკებისა და საძირკვლის ქვეშ ქვაბულის ამოღების სამუშაოები სასურველია წარიმართოს ხელით თანახმად სნ და წ 3.02.01-83-ისა.

7.3. ყველაზე შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოებად ითვლებიან დაარმატურებისა და დაბეტონების პროცესები. მათი შესრულება აუცილებელია სნ და წ 111-15-76 მოთხოვნილებების დაცვით.

7.4. ფუძე საძირკვლების მოწყობისას ხელმძღვანელობენ სნ და წ 3.02.01-83 ნორმებით ფუძეები და საძირკვლები.

7.5. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";
- სნ და წ 111-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მისაპირკეთებელი სამუშაოები";
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები";
- სნ და წ 3.04.03-85 „კოროზიისაგან დაცვა";
- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ – ტექნიკური მოწყობა";
- სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-30-79 „წყალ მომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
- სნ და წ 111-10-78 „ტერიტორიის კეთილმოწყობა";

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ასლი
108

- სნ და წ 111-4-80 ‘„უსაფრთხოების ტექნიკა“;
